რედაქცია: ფრეილინის ქუჩა, № 13. ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.

ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели".
Телефонъ № 363

ქეთევან შიოს ასული, მარიამ ივანეს ასული, ალექსანდრე და დავით ელისბარის-ძენი გუნდიაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას, პირველი შვილისას, მეორე ქმრისას, მესამე და მეოთხე თავიანთ ძმის

შაქრო გუნდიაშვილისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზედ: ვოკზალზე, მელიქ-ყარაგოზოვის სახლებში. მიცვალებულს გაასვენებენ ხუთშაბათს, 30 იანვარს, კუკიის ალექსანდრე ნევსკის ეკლესიაში დილის ათ საათზე. (2—2)

ამ მომდინარე 1897 წლისთვის

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელზედ"

ვინც წლიურად დაიკვეთავს გაზეთს, მას მიეცა მუქთად 1897 წლის დიდი „საქართველოს კალენდარი", შედგენილი გაბ. გუნიას მიერ.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.

თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიურის ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანათი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანათი, ვიდრე 6 მანათს შეასრულებდნენ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, Фрейлинская, № 13.
Редакція „Цнобисъ Пурцели".

№ 349



№ 349

სავაჭრო სახლი

ს. პ. პავლოვი და კ.

ტფილისი, დიდის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო

საკერავი მაშინები

ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს **სამის წლით** თავდებად ვუდგები.
ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
Торговый домъ С. П. Павлова и К°. (100—15 წ.)

სასწავლებელი და პანსიონი

ა. ტერ-აკოფოვისა

მოუწვევია უმაღლესს სასწავლებელში სწავლა დამთავრებული მასწავლებლები-სპეციალისტები და 7 იანვრიდგან იღებს მოწაფეებს, როგორც სასწავლებელში მოსამზადებლად, აგრეთვე სასწავლებელში მყოფთა დასახმარებლად გიმნაზიებისა, რეალურისა და სხვა სასწავლებლების მოწაფეთა მე 5 კლასამდე. იქვე მიიღებიან პანსიონერებად სხვა სასწავლებლების მოწაფენიც. ქართველებს ქართულ ენას ასწავლის სიონის ტაძრის მღვდელი ანტონ თოთიბაძე.

ადრესი: ტფილისი, განოვის ქუჩა, № 11, მესამე გიმნაზიის გვერდზე. (*Тифлисъ, Гановская, № 11. Училище и пансіонъ А. Теръ-Акопова.* (10—6)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავათმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. ზერატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.** (წ.)

ვექილი

გ. ბ. გვაზავა

გკისრულობ სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების წარმოებას.

(გოლოვინის პროსპექტი, მუხრან-ბატონის სახლი, № 6).

დილით 9—10, საღამოს 5—7 საათ.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, Головинскій, д. Мухранскаго, Г. Б. Гвазава.* (30—18)

„ახალი მკითხველი"

მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლის გამოცემებზე.

ფასი მთელი წლისა **3** მანათი.

შეიძლება თითო მანათობითაც პირველ სამ თვეში ხელის-მოწერის დღიდგან.

ადრესი: *Тифлисъ. „Новый Читатель". Ивану Павловичу Ростомову.* (30—23)

გამოვიდა ცალკე წიგნად
თავ. ქაიხოსრო გედევანის

ლექსები

ისყიდება: ბ-ნნ ბეგიჩევის, ხიდეკელის, გრიქუროვის, მდივანის, ნ. პოლტარაცკის და ქართველთა წიგნების მაღაზიებში.

ფასი სამი შაური.

გუშინდელი დეპეშა

28 იანვარი

პეტერბურგი. „სავაჭრო-სამრეწველო გაზეთში" დაბეჭდილია: „27-ს იანვარს ს.-პეტერბურგის ბირჟის მოქმედება იმითი გათავდა, რომ საშინლად და მოულოდნელად დაეცა ფასიანი, უმეტესად სააღებმიცემო, ქაღალდები. ბირჟამ, რომელიც ადვილად იჭყვება ხოლმე ყოველსავე უბრალო იმედსა და შიშს, ამ ხელადაც გამოიჩინა თავისი სისუსტე, რადგან რაოდენადმე საშიში ნიშნები ჩვენ ვერა დავინახეთ-რა. ბირჟაზედ ლაპარაკი ალიძრა შავის პირის მოახლოვებისა და ოსმალეთში მომხდარ ამბების შესახებ. ეს გაიხადეს მიზეზად ბირჟაზედ მომქმედთ. ასეთს ძლიერს დაცემას ფასიანის ქაღალდებისას გასამართლებელი არა აქვს-რა და მისი მიზეზი იფარება იმ გარემოებაში, რომ ბაზარში ძალიან ადვილად გამოაქვთ დივიდენდები და ფასიანი ქაღალდები, რომელთა ზოგიერთი ნაწილი სუსტს ხელშია თავ-მოყრილი, რითიც სარგებლობენ ყოველს შემთხვევაში ფასების ასაწევ-დასაწევადაო".

პარიჟი. დეპუტატთა პალატა. დიდძალი კრებულია. სადიპლომატიო-ტრიბუნა სავსეა. ყურადღება მიქცეულია იმაზედ, რომ ინგლისის ელჩი პალატაში იმყოფება. დელონკლი შეეხება გიქს-ბიჩის მიერ წარმოთქმულს სიტყვას, რომელიც ოპოზიციის მეთაურთ ჩასთვალეს საფრანგეთისა და რუსეთის საწყენ სიტყვადაო. გიქს-ბიჩმა უცნაური დაუდევრობა გამოიჩინაო ხელშეკრულობათა შესახებ და განაცხადა, რომ მარტო ოდენ ინგლისს აწევს ტვირთი ეგვიპტის უშიშარად ყოფნის პასუხისმგებლობისაო, და რომ მის მიერ სესხად მიცემული 20 მილიონი შეძლებას მისცემს ინგლისს დიდხანს არ გამოიყვანოს ჯარი ამ ქვეყნიდგანაო. დელონკლიმ სთხოვა ანოტოს, პარლამენტს აცნობოს ეგვიპტეში მომხდარ ამბავთა საბუთის ქაღალდებიო. პარლამენტი ნებას არავის მისცემს, რომ საფრანგეთის უფლებას შეეხოს ვინმე, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს, რა უფლებანი აქვს საფრანგეთის ეგვიპტეშიო (ტაშის ცემის-ხმა ისმის). პასუხი გასცა რა ანოტომ, ამ საგანს ფინანსიურის მხრით შეეხო და პარლამენტს აუწყა შინაარსი იმ ნოტისა, რომელიც გაუგზავნია ხედივის მთავრობისათვის. რაც შეეხება საზოგადოებათა პალატაში წარმოთქმულს სიტყვასაო, სთქვა ანოტომ: უნდა გავახსენოთ, რომ აზრთა ერთმანეთში გაზიარება და პარლამენტის წევრთა ლაპარაკი ვერ გარდასწყვეტს ასე თუ ისე საერთაშორისო დავასაო. (ტაშის ცემა გაისმის). ლაპარაკით ბევრი ვილაპარაკეთ განსაკუთრებით ეგვიპტის მართლ-მსაჯულების შესახებ, მაგრამ რატომ არ იქმნა აღსრულებული ყველასაგან კანონიერად მიჩნეულ მოსამართლის გარდაწყვეტილებაო? (ტაშის ცემაა). იმათი მოვალეობაა, ვისაც ევროპამ მიანდო ეგვიპტის ზედამხედველობა, გააფრთხილონ ეგვიპტის მთავრობა, რომ იგი განსაცდელის გზაზედ დგება და შეიძლება დეფიციტებისაცაო. ეგვიპტე გავაფრთხილოთო, რომ ფინანსების საქმეები კარგს წესებს დაუმორჩილოსო (ტაშის ცემაა). საფრანგეთი ეცადა რამდენადაც-კი შეეძლო, მხარი მიეცა ევროპის ერთობისათვის. საერთა შორისო საქმეთა ვითარებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა და ვერავინ ვერა ჰყოფს საფრანგეთს იძულებულ შესცვალოს თავისი გარდაწყვეტილება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ არავის არა ჰქონდეს ნება საერთაშორისო ხელშეკრულობათა ხელ-შეხებისასაო (ტაშის ცემაა). ეს ამბავი ამითი დაბოლოვდა.

ვენა. „საპოლიტიკო კორრესპონდენციაში" ნაუწყებია პორტას მიერ გამოთქმული აზრი ელჩითა თათბირის შესახებ. მიზეზად დაასახელა რა მკვიდრთა შორის გამეფებული არეულობა, პორტამ სთხოვა დიდ სახელმწიფოებს, გამოაქვეყნეთ

ცვლილებათა პროექტი და სულთანის მზადაა დაუყოვნებლად განახორციელოს იგიო, ხოლო დიდმა სახელმწიფოებმა უპასუხეს: ნაადრევად გამოქვეყნება ამ პროექტისა კარგი არ არისო და ცვლილებათა პროექტი მაინც ეცნობება სულთანს, ჯერ-კი კაბინეთები სიამოვნებით ისმენენ სულთანის კეთილ განზრახვათაო.

ლვოვი. გალიჩის სეიმმა ერთ-ხმად შეიწყნარა სარჩიელი კრაკოვში ვაველის მთაზედ იმპერატორის სრა-სასახლის აშენებისა თავისის ხარჯით და დაადგინა, ეს სრა-სასახლე იმპერატორს მიერთვას საჩუქრად მისის მეფობის 50 წლის დღესასწაულის დღესაო.

კონსტანტინოპოლი. კანეიაში მაჰმადიანნი სძარცვავენ სახლებს ქრისტიანებისას, რომელთაც უცხო ქვეყნების გემებს შეაფარეს თავი. ამბობენ, რომ თვით გენერალ-გუბერნატორს დაურიგებია მაჰმადიანთათვის იარაღი და ტყვია-წამალიო. ამ კუნძულის სხვა ნაწილებიდგანაც ავი ამბები ისმის. კრიტის მაჰმადიანებმა სულთანს დეპეშა გაუგზავნეს და სთხოვეს, შემწეობა აღმოგვიჩინეთო, რადგან გვძარცვავენ და გვხოცენო. დიპლომატები ჰშიშობენ, რომ თუ ჯარს მოუმატებენ, საქმე უფრო ცუდად წავაო. იმის შიშიცა აქვთ, რომ შეიძლება ასევე იმოქმედოს საბერძნეთის გემების შემოსვლამ, რის გამოც ბევრი სახელმწიფო ამაოდ შეეცადა ხელი აეღებინებინა საბერძნეთისათვის ამ მოქმედებისაგან.

კანეია. ცეცხლი გააქრეს, მაგრამ ეგვიპტის სრა-სასახლე და ორასიც სხვა სახლი ძირიანად გადიწვა. ყანდიაში იტალიის სამხედრო გემები მოვიდნენ. მაჰმადიანნი თავს დაეცნენ თოფხანას და 2.000 მარტინის სისტემის თოფი გამოიტანეს. ამ ამბავის დროს ორი მაჰმადიანი მოჰკლეს და ხუთი დასჭრეს.

ახალი ამბავი

—

*** **სიტყვა საქართველოს ექსარხოსის გლადიმერისა.** 26 იანვარს ქაშუეთის ეკკლესიაში ყოვლად სამღვდელო გაბრიელის სულის მოსახსენებლად გარდახდილ პანაშვიდის შემდეგ დამსწრეთ დაურიგდათ ცალკე დაბეჭდილი სიტყვა მის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის უწმიდესის სინოდის წევრის საქართველოს ექსარხოსისა, თქმული შარშან გაბრიელის დასაფლავებაზე. ამ მჭევრ-მეტყველურმა და უაღრესის გრძნობით და გულ-წრფელობით წარმოთქმულმა სიტყვამ თავისს დროზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. მხოლოდ სამწუხარო ის იყო, რომ უმეტესობას არ შეეძლო ამ სიტყვის გაგება ენის უცოდინარობისა გამო. ამიტომ მისი ქართულად თარგმნა და ისიც ცალკე წიგნად მიწოდება საზოგადოებისათვის სწორედ ამ დღის შესაფერი იყო. ამ სიტყვით ქართველ საზოგადოებას შეუძლია ერთხელ მეტად თვალ-წინ დაიყენოს ნეტარი სახე თავისის ძვირფასის მწყემსთ-მთავარისა, რომელზედაც მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა ექსარხოსი ვლადიმერი სამართლიანად ბრძანებს, რომ გაბრიელი იყო: „თვისის სამწყსოსათვის ჭეშმარიტად ხე კეთილ ჩრდილოვან-ფოთლოვანი, მრავალ-ნაყოფიერი და კეთილ-ნაყოფიერი; და აჰა, როდესაც ყოვლად-შემმუსვრელმან ხელმან სიკვდილისამან მოჰკვეთა ასეთი ხე, ნუ თუ შეუძლიანთ მოითმინონ უმწუხაროდ და უცრემლოდ ასეთი დანაკლისი იმათ, რომელნიც ოც-და-ხუთმეტი წლის განმავლობაში სცხოვრებდნენ ამ ხის ჩრდილ ქვეშე და სჭამდნენ მისს მშვენიერს ნაყოფსა?!“ სიტყვა მშვენიერის ქართულის ენით თარგმნილია ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლის ილია ფერაძის მიერ. მხოლოდ სამწუხარო ის იყო, რომ ყველას არ გასწვდა ეს წიგნაკი. სასურველია, ხელ-ახლა საკმაოდ დაიბეჭდოს და ნეტარ-ხსენებულის დასაფლავების წლის თავზე დაურიგდეს მლოცველებს.

*** **ლექსების კითხვა ქართულად რუსულ საზოგადოებაში.** ამ თვის 21-ს კიევში პოეტ ნადსონის მოსაგონებელ სალამოზე, რომელიც გამართულ იყო, თურმე, კიევის არტისტულ საზოგადოების დარბაზში, სხვათა შორის, ლექსი წაუკითხავთ ქართულადაც, რაიც პირველად ხდება რუსეთში. ამ სალამოზე, თურმე, ლექსები უკითხავთ რუსულად, მალოროსიულად, პოლშურად, ფრანგულად და ქართულადაც. ქართულ ენას, ესტრადიდან პირველად გაგონილს, დიდი ცნობის-მოყვარეობა აღუძრავს იქაურ საზოგადოებაში.

*** **ადგილობრივ ენების მასწავლებლები სამოქალაქო სკოლებში.** სასწავლებლების კომიტეტს მიუწვევია ქართულ და სომხურ ენების მასწავლებელი სამოქალაქო სკოლებში.

*** **კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება.** 31 იანვარს სამეურნეო საზოგადოების კრებამ უნდა აირჩიოს გაზეთ „კავკასიის სასოფლო მეურნეობის“ სარედაქციო კომისია.

*** **ტფილისის სასანიტარო სამკურნალო საბჭოს განკარგულება.** უკანასკნელ თავისს კრებაზედ სასანიტარო სამკურნალო საბჭომ გადასწყვიტა: 1) შეატყობინოს ქალაქის გამგეობას, რომ ტფილისის ექიმები არ ატყობინებენ საბჭოს, გადამდებ სენიან ავადმყოფთა სახელებს და ამიტომ საბჭოს ცნობა სრული არ არის ხოლმე. 2) მიეცეს, ხოლმე, ვაჭრებს ტრიხინიან ღორის ქონისა და ტყავის ფასი, რომელსაც ბეითალები აღმოაჩენენ და დასწვამენ. 3) მომავალ კრებაზედ განხილულ იქმნას საქმე მწველელ საქონლის დახოცვის შესახებ.

*** **ქართული და სომხური სადამო ბაქოში.** 1 თებერვალს ბაქოში გაიმართება ქართული სალამო, 20 თებერვალს სომხური. ქართულ სალამოს შემოსავალი გადადებულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ, ხოლო ერთი ნაწილი შემოსავლისა გადადებულ იქმნება ოსმალეთიდგან გამოქცეულ სომხებთა სასარგებლოდ. სომხურ სალამოს შემოსავალი მოხმარდება „სომეხთა კაცთ-მოყვარე საზოგადოების“ ბიბლიოთეკასა და სამკითხველოს.

*** **ტფილისის საპატიმროებში** ამ ჟამად 801 პატიმარია. ამათში 14 პოლიტიკური დამნაშავეა, 4 გაკოტრებული კაცი. პატიმართა შორის 25 კეთილშობილია, 1 მოხელე, 10 ქალი.

*** **გაჭრობისა და მუშაობის აკრძალვა კვირა-უქმე დღეს.** ხმოსანმა ი. რიდმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას მოხსენება შესახებ იმისა, რომ კვირა-უქმე დღეს აკრძალულ იქმნას ვაჭრობა და მუშაობა. ხმოსანი ამბობს, ჩვენი ქალაქის მმართველობა თითონ ამუშავებს კვირა-უქმე დღეებში მუშებს, რის გამოც ისინი ეკკლესიაში ველარ დადიან და 10—15 წელიწადში ვერ მოუცლიათ, რომ ეზიარონ მაინცაო.

*** **ქუნთრუშიანთა საავადმყოფოს კურთხევა.** ოთხშაბათს, 29 იანვარს ქალაქმა გახსნა ახალი საავადმყოფო ქუნთრუშიანთათვის ავლაბარში, ფალავანდიშვილის ქუჩაზე, ჩერნიშოვის სახლში. საავადმყოფოს კურთხევას დაესწრო კარგა დიდი საზოგადოება. იყვნენ ბ-ნი ვიცე-გუბერნატორი სტეფანოვიჩი, პოლიცმეისტერი მასტიცკი, ქალაქის თავის მოადგილე ბ-ნი ივანენკო, უფროსი გამგებელი კავკასიის საექიმო ნაწილისა გლავაცკი და მრავალნი საპატიო პირნი. სამკურნალო სრულებით მოწყობილია, ექიმიც მიიწვიეს, ფერშლებიც და დანარჩენი მოსამსახურენიც, ასე რომ ავადმყოფ ბავშვთა მიყვანა ოთხშაბათიდამვე შესაძლებელი შეიქმნა. საავადმყოფოს კურთხევაზედ ქალაქის თავის მოადგილემ წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა. ექიმად ამ საავადმყოფოში მოწვეულ იქმნა დოქტორი ზარგარიანცი.

*** **შავი ჭირი.** შაბათს, 1 თებერვალს, დანიშნულია განსაკუთრებული კრება ხმოსნებისა და ქალაქის ყველა ექიმებისა მასზედ, თუ რა ღონისძიება უნდა იქმნას მიღებული ქალაქის მიერ ეპიდემიასთან ბრძოლისთვის. ამ კრებას გარეშე პირთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

*** **შავი ჭირი და ტფილისის თვით-მმართველობა.** ორშაბათს, 27 იანვარს, ხმოსანი ევანგულოვი დაეკითხა ქალაქის გამგეობას, რა ღონისძიებასა ხმარობთ, რომ ტფილისში შავი ჭირი არ გადმოვიდესო. თავმჯდომარემ უპასუხა: რადგანაც რუსულ ლიტერატურაში არავითარი ცნობებია შავ ჭირზედ, ამიტომ სასანიტარო საბჭომ საფრანგეთის ლიტერატურას მიჰმართა ცნობების შესატყობადაო. სწორედ რომ ახირებული პასუხია, ბარემ იმ რაღაც ჯანდაბა ჭირს მისწერონ, იმ დრომდე ნუ მოვა ჩვენსა, ვიდრე ჩვენი სანიტარები ფრანგულ ენას არ შეისწავლიან და საფრანგეთის ლიტერატურას არ გადიკითხავენ...

მთელი ქვეყანა იმას ამბობს, რომ ყოველ გადამდებ სენის წინააღმდეგ უკეთესი საშუალება სისუფთავეაო და მხოლოდ ქალაქის გამგეობა გაიძახის, ჯერ ფრანგული ლიტერატურა უნდა შევისწავლოთ, იქნება სისუფთავე არც-კი იყოს საჭიროვო.

არ იქნა ერთი მადლიანი კაცი არ აღმოჩნდა ქალაქის საბჭოში, რომ რაიმე ღონისძიება ეჩჩია გამგეობისთვის. ჩვენი ხმოსნები მხოლოდ ტყუილა უბრალო სალაპარაკოდ ან კიდევ კარგ ჯამაგირიან ადგილზედ თავის ნაცნობთა ასარჩევად დადიან საბჭოს კრებაზედ.

სასანიტარო საბჭო ახლა (წავლობს თავის საქმეს. რიღას სანიტარები არიან, ნეტა ვიცოდეთ? თუ კი ხმოსნად ნამყოფმა ნიკოლაძემ იცოდა და ურჩია კიდეც ქალაქის გამგეობას. რა ღონის ძიებანი უნდა მიეღო მას ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად, რატომ სანიტარებმა კი არ იციან, რა ღონისძიება უნდა მიიღონ ჭირის წინააღმდეგ?

ხოლერობამ დაგვიმტკიცა, რომ ტფილისსაც შესძლებია ებრძოლოს გადამდებ სენს, თუ კი მხნედ მოიქცევა და დროზედ შეუდგება საქმეს. მაგრამ თუ კი იმ დროს, რომელიც საბრძოლველად არის საჭირო, ფრანგულ ენის შესწავლას მოახმარებენ, თქვენი მტერი, არც ჭირი და აღარც სხვა რამ სენი არ დაგვინდობს! ან როგორ უნდა ებრძოლოს უვიცი და ხელებ დაკრებილი მმართველობა ულმობელ სენს—ჭირსა, როდესაც. აგერ რამდენი თვეა, ხუნაგთან ვერა გააწყო რა!

თეატრის მატიანე.

„ბოშა ქალი ზანდა, დრამა 4 მოქმედებად გენგოფერისა და ბრონზინერისა, თარ. ნ. გალუსტოვის მიერ. ბენეფისი ქალ. ავალიშვილისა.

—

გუშინ ქართულმა დასმა წარმოადგინა ქალ. ავალიშვილის საბენეფისოდ ზემოდ მოხსენებული დრამა. ამ დრამამ მოიარა თითქმის ევროპის ყველა სცენები, ყველგან წარმოადგინეს, რადგან ეფექტებით სავსეა, თუმცა, როგორც სალიტერატურო ნაწარმოები, სუსტია და უფრო მელოდრამას ემზგავსება, ვინემ დრამას.

მოქმედება სწარმოებს რუმინეთში. მოხუცს ბოშას ბარბუს მდიდარი მემამულე ნოთარა წაართმევს ცოლს და დამალავს თავის ციხე-დარბაზში. მეორე დღეს, დილით ქალს ჩამომხრჩვალს ნახვენ, რადგან არა ნდომებია ლანებდეს, ვნებით პავსეს და გაზვიადებულს ბატონს. ამ ბოშა ქალს დარჩა პაწია ქალი ზანდა, რომელიც თავის ცეცხლ-მფრქვევ თვალებით ძალიან წააგავს დედას. ნოთარა აიყვანს ბავშვს და გაზდის თავის ხარჯით. ზანდამ მიიღო ისეთი განათლება, როგორსაც მდიდარი არისტოკრატის ქალები ღებულობენ და როდესაც ის შეიქმნება 18 წლისა, ნოთარა დააპირებს იმის ცოლად შერთვას.

ზანდას მოელოდა ღარიბი ცხოვრება გალოთებულ მამის ქოხში, იმ მამის, რომელიც ნიადაგ დამღერს ვიოლონზე ცოლის ერთს საყვარელ ხმას. მოხუცი მამა წინააღმდეგია ქალი მითხოვდეს ნოთარს, მაგრამ ზანდამ არ იცის, თუ ეს უკანასკნელი დედამისის მკვლელია და დასთანხმდება, მით უმეტეს, რომ იმედი აქვს ნოთარა სასტიკად აღარ მოეპყრობა გლეხებს, რა-კი ზანდას გავლენის ქვეშ ჩავარდება.

ზანდას ოცნებები უქარწყლდება. თითქმის ქორწინების წინა დღეებში საზღვარ-გარეთიდგან ჩამოდის ახალგაზდა ადვოკატი იონელი. ზანდას ეს ყმაწვილი პატარაობიდგანვე უყვარდა და რა კი დაინახავს, წინანდელი სიყვარული აღეგზნება. ჯვარის წერის ღამეს, ნადიმობის შემდეგ, ზანდა მარტოკა მოიგდებს ხელში იონელს და გამოუტყდება, რომ უყვარს მხოლოდ ის, ნოთარა კი მთელი მისი არსებით ეზიზღება და ეჯავრება... გადისვრის ბეჭედს, მოიგლეჯს საქორწილო მანდილს და მზად არის ახლავე გაჰყვეს იონელს, სადაც ამას ნებავს. მაგრამ იონელი აუხსნის, რომ მას სხვა ქალი უყვარს და იმაზედ დაიწერს ჯვარს, იგი მდიდარია და იონელის დედ-მამა კი გაღარიბებული არისტოკრატები... ამ ქორწინებით მათ სურთ დაცემული ოჯახი ფეხზედ წამოაყენონ.

ზანდას გული უკვდება ამ ამბით, ის აღარ ნატრულობს სიცოცხლეს... მოხუცი მამაც შემოიპარება იმის ოთახში, სიცილ-ხარხარით ულოცავს ქორწინებას და თან შეატყობინებს, რომ ნათარამ მოჰკლა დედამისი... ამ ამბავს კიდევ ახალი შეურაცხყოფა მოზდევს... პროკურორი ოლესკუ, გონჯი, კუზიანი სიყვარულს უცხადებს... ზანდა, რასაკვირველია, არ თანაუგრძნობს პროკურორს, მაშინ ეს უკანასკნელი უჩვენებს პატარა შუშას მორფით სავსეს და ეუბნება, რომ ეს-ღა დამრჩენია დასამშვიდებლად და მხსნელადო. როდესაც ამ შუშიდამ მივიღებ რამდენსამე წვეთს, მაშინ შევიძლებ შენი სიყვარულის და მთელ ქვეყნიერობის დავიწყებასო. ზანდა წაართმევს შუშას და როდესაც მარტოკა დარჩება დასცლის შამპანის ჭიქაში... უნდა დალიოს, მაგრამ შემოდის ნოთარა, რომელიც უჩივის წყურვილს და რა კი შამპანის ბაკალს დაინახავს, სულ გამოსცლის... ზანდა არ შეაჩერებს, არ მიაკივლებს, რომ ის საწამლავს სვამს... მხოლოდ საშიშარ თვალებით დაუწყებს ცქერას მომაკვდავ ნოთარას.

პროკურორი კი თავის წადილებს თავს არ ანებებს.. რათ უნდა რამ ქვეყანაზედ, თუ ზანდა იმისი არ გახდა... ამოათხრევინებს ნოთარას გვამს სამარედამ, ფიცხელს გამოძიებას მოახდენს და აიხსნება, რომ ნოთარა მოწამლულია. მაშინ პროკურორი ხელ მეორეთ მიჰმართავს ზანდას... თუ ჩემი ცოლი გახდები...ყველაფერს დავფარავ, თუ არა და ვიცი რომ მომწავლელი შენა ხარ და დაგღუპავო. ზანდა კიდეც უარს ეუბნება. მაშინ პროკურორის ბრძანებით ზანდას დაატუსაღებენ.

უკანასკნელი მოქმედება სასამართლოში წარმოებს. იონელი იცავს ზანდას, ოლესკუ კი ბრალ-მდებელია. ამათი კამათის დროს აიხსნება, რომ ორივეს უყვარს ზანდა. მსაჯულებს, რასაკვირველია, ორივე უნდა გადაეყენებინა ამ საქმეში და სხვებისთვის მიენდო დამნაშავის დაცვა და ბრალდება, მაგრამ პიესის ავტორები სრულებით მოულოდნელად ათავებენ დრამას.

ზანდასთან, როგორც ნოთარას მემკვიდრესთან, გლეხებს მიწაზედ დავა აქვსთ.. ამათი ვექილიც იონელია.. გლეხები ვერ მიმხვდარან, რომ შეიძლება ვექილი ერთს საქმეში მოწინააღმდეგეთ იყოს და მეორეში კი დამცველად... გაბრაზებულნი შემოვარდებიან სასამართლოში და თოფს ესვრიან იონელს, როგორც მოღალატეს... ტყვია ჰოხვდება ზანდას და დრამაც ამით თავდება..

ეს არის შინაარსი ეფექტიანის პიესისა, რომლის წარმოდგენა ქართულ სცენაზედ, ჩვენის აზრით, სრულიად უადგილოთ მიგვაჩნია, რადგან არავითარი კავშირი ჩვენს ცხოვრებასთან არ აქვს და როგორც უცხო სალიტერატურო ნაწარმოებს ჩვენთვის არავითარი ლიტერატურული მნიშვნელობა არა აქვს. ვნახოთ ახლა, როგორ ითამაშეს ჩვენმა არტისტებმა ეს პიესა.

(დასასრული იქნება)

*** **ადმინისტრაციის ცვლილება ზაქათალაში.** ზაქათალის ოლქის უფროსის ბრძანებით, ჯარო-მუხრანის ნაწილის უფროსი კაპიტანი მერკულოვი და ბელაქანის ნაწილის უფროსი როტმისტრი მირიმანოვი ერთი-მეორის ადგილზე იქმნენ გადაყვანილნი.

*** **კიდევ ქალის მოტაცება.** ზუგდიდის მაზრის სოფ. ზანაში მოიტაცეს ახალგაზდა ქალი მ—სა, რომელიც ეხლა, თურმე, მომტაცებელთა ხელშია. ეს ამბავი მთავრობას შეატყობინეს.

*** **თავის მოწამვლა.** 27 იანვარს კარბოლის სიმჟავით თავი მოიწამლა ტფილისში მცხოვრებმა 18 წლის ქალმა ბ-სამ. მოწამლული მაშინვე მიხეილის სამკურნალოში წაიყვანეს და სიკვდილს გადაარჩინეს.

*** **აბასთუმნის წყლები.** კავკასიის სამხედრო-სამკურნალო ოლქის ინსპექტორი ი. მალინინი, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგშია, მიუწვევია საგანგებო კომისიას თავის კრებებზედ. კომისიამ უნდა განიხილოს საქმე აბასთუმნის წყლებისა და გადასწყვიტოს, ჩამოერთვას თუ არა ამ წყლების ზედამხედველობა მეურნეობის სამინისტროს და სამხედრო სამინისტროს გადაეცეს.

რკინის გზის ამბები.

—

სადგურის უფროსების გადაყვანა. გარდაცვალებულ კალიშევის ადგილზე ფოთის სადგურის უფროსად გადაყვანილ იქმნა ევლახიდამ ბირდინი; ევლახში უჯარიდან სინიცინი და უჯარის უფროსად გოლდმერშტეინი.

—

მატარებლების შეჯახება. სადგ. დალმამედლიდან მომავალი მატარებელი გუშინ, ღამის 3 საათზე, დაეჯახა ტფილისიდან მომავალ ბარგის მატარებელს მეისრეს დაუდევრობით. ორი ვაგონი დაზიანდა, ადამიანებს არა შემთხვევიათ-რა.

სასამართლოს მატიანე.

—

28 იანვარს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ახალციხის მცხოვრებლების კიტიანისა, კოშკოგლიანცისა და კაშტანჯევისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ ახალციხისავე მცხოვრების დავით კონცევის მოკვლა. ეს საქმე მოხდა წარსულ წლის 29 იანვარს ახალციხეში. მესაათემ კონცევმა დაკეტა მაღაზია, ჩააწყო ყუთში ოქროს საათი და ზოგიერთი ნივთები და შინ წავიდა. გზაში სამი კაცი დახვდა, მოჰკლეს ხანჯლებით და ყუთი წაიღეს. პოლიციამ ეჭვის გამო დააპატიმრა მედუქნე კიტიანი, კოშკოგლიანცი და კაშტანჯევი. ორმა უარი განაცხადა, ჩვენ არ მოგვიკლავს კონცევიო, მაგრამ გამომძიებამ მათი ბრალობა საკმაოდ დაამტკიცა. კაშტანჯევი-კი გამოტყდა: დუქნიდან რომ გამოვედით, შეგვხვდა კონცევი და კიტიანმა და კოშკოგლიანცმა მოჰკლეს ხანჯლებითაო და პოლიციას უჩვენა ის ადგილი, სადაც ჩაფლულ იყო ყუთი მძვირფასი ნივთებით, სულ 2000 მანათისა; ყუთი კიტიანის დუქანთან იპოვნეს. ოლქის სასამართლომ მიუსაჯა: კიტიანსა და კოშკოგლიანცს 17$^1/_2$ წლის ვადით კატორღაში გაგზავნა, ხოლო კაშტანჯევს 11 წლით.

ბრალდებულნი არ დასთანხმდნენ ამ განაჩენზე და საქმე პალატაში გადიტანეს.

პალატამ ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

სამეურნეო ცნობები.

სვია, გითარცა საქონლის საჭმელი. ამ უკანასკნელ ხანებში გერმანეთში მეურნეები საქონელს აჭმევენ სვიას ნედლ ფოთლებს და სვიისაგანვე გაკეთებულ თივას. გამხმარ სვიას წვრილად დასჭრიან და ან თივასთან, ან ბზესთან შეურევენ და ისე აჭმევენ საქონელს, და საქონელიც სიამოვნებით ეტანება, თურმე, და აძლობს კიდეც.

სვიას ამ რიგად ახმობენ. მზეზედ ამშრალებენ, მერე დასჭრიან წვრილწვრილად. დაჭრა ალიონზე სჯობია, როცა სვია ნამისაგან ნოტიოა, რის გამო დაჭრის დროს სვიის ფოთლები არ იფშვნება ხოლმე. მივაქცევთ რა ამაზე ჩვენ მეურნეთა და გლეხ-კაცობის ყურადღებას, ვურჩევთ, სცადონ საქონლისათვის სვიის თივის მომზადება, რადგან სვია ჩვენში ძლიერ ბევრია.

—

რა დროს უნდა ასვათ ცხენს წყალი. ძრიელ საშიშოა გაცხელებულ ცხენს წყალი დაალევინოთ, თუ ცხენი სირბილის ან დიდი შრომის შემდეგ ერთ ადგილას დგას და ოფლი ზედ შეაშრება, უთუოდ დასჩემდება ტანის კანკალი, მუცლის გვრემა და გულის ანთება. გაცხელებულ ცხენს შეიძლება ცივი წყალი დაალევინოთ, ხოლო ამ შემთხვევაში უთუოდ უნდა ხელ მეორედ სწრაფად დაატაროთ და რაც შეიძლება ამოძრაოთ. რაც უნდა ცივი იყოს წყალი, იგი მოძრაობის დროს მალე გათბება სტომაქში და მავნებელი აღარ შეიქმნება. საუკეთესოდ არის აღიარებული, რომ გაცხელებულ ცხენს ნელ-თბილი წყალი დაალევინოთ და ისიც თავლაში, რომ ოფლი ერთბაშად არ შეაშრეს ცივ ჰაერზე. მართალია ნელ-თბილ წყალს ცხენები არ სწყალობენ, მაგრამ, როგორც გამოცდილებამ დაამტკიცა, ცხელი წყალი ცხენებს ძრიელა ჰრგებს სტომაქში და ამ რიგად დაჩვეული ცხენები არას დროს მუცლით არ ავადმყოფობენ და შესანიშნავად ჯან მრთელები არიან.

საოჯახო ცნობები

სხვა-და-სხვა ლითონის გაწმენდა.

ფერ-წასული თითბერი ჯერ (მაგარი) ცხარე ნიშადურის სპირტით (нашатырный спиртъ) უნდა დასველდეს და შემდეგ ჩოტკით მაგრა გაიწმინდოს. ხუთ წამს რომ ასე იხეხოს თითბერი, გაიწმინდება და ახლივით დაიწყებს ელვარებას; მაშინ სუფთა წყლით უნდა გაირეცხოს და მჩვრით გამშრალდეს.

დიდი შეცდომაა, რომ თითბერს მჟაველებით სწმენდენ. მჟაველებით გაწმენდის შემდეგ თითბერი მალე შავდება. ლიმონის წვენი და ისპანიური უმარილო (испанскія бѣлила) კარგად სწმენდს თითბრის სახელურებს, კლიტეებს და სხვ. (ისპანიური უმარილო მჟავეს აქარწყლებს); ამით გაწმენდილი ნივთი შემდეგ ზამშით უნდა გაიხეხოს, რომ ელვარება მიეცეს. აგრეთვე კარგად ჰსწმენდავს თითბერს შირიმის ქვის (პემზას) ფიფქი და ზეითუნის ზეთი.

გამოსადეგი ცნობა

შპალერის გაწმენდა.

შპალერი ფლანელით კარგად იწმინდება. ფლანელი საგვეს ჩოთქზე უნდა დაეხვიოს და იმით ჩამოიწმინდოს შპალერით გაკრული კედლი.

ქაღალდის შპალერზედ ქონიან ლაქის ამოყვანა ამნაირად შეიძლება: მაუდის სათელი თიხა (сукновальная глина) ცივი წყლით უნდა აირიოს ცომის მსგავსად, ეს ცომი ლაქებს მიეკრას და ისე დასტოვოს ერთი ღამით. მეორე დილით მოაძროს თიხა. თუ ლაქა ახალია, ამოვა და თუ ძველი, მაშინ მეორეთ და მესამედ დასჭირდება ამ ხერხის ხმარება.

ზამშის გარეცხა.

ზამში ისე ირეცხება, როგორც ქეჩა და სარეცხი, საპონ-წყალში, მაგრამ წყალი-კი ნელ-თბილი უნდა იყოს, თორემ ცხელი წყალი ზამშს ჰკრუნჩხავს. გარეცხილი ზამშის ცეცხლთან გაშრობა არ შეიძლება. იგი უნდა გაშრეს ჰაერზედ და შემდეგ ხელით იმდენ ხანს ისრისოს, ვიდრე უწინდებური სილბილე მიეცემოდეს.

ვაჭრების და იჯარადრების საყურადღებოდ.

დამდეგის წლის 6 თებერვალს დანიშნულია ოლქის სასამართლოში საჯარო ვაჭრობა ვაჭარის მიხეილ ივანესძე ნიკოლოსოვის უძრავ მამულზე, მდებარე ბარონის ქუჩაზე № 13 და მდგომარე ორ სართულიან სახლში და იმ გვარსავე ფლიგელში, 70 ოთხკ. საჟ. მიწით. საქმის ნახვა მსურველთ შეუძლიან სასამართლოს კანცელარიაში ყოველდღე.

ამავე რიცხვს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ოლქის სასამართლოში ვაჭარის ივანე ტელიაფურის უძრავ მამულზე, მდებარე პირველსა და მეორე მადაკნის ქუჩებზე, მდგომარე ორ ნაჭერ მიწაში ზომით 1045$^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ, საქმის ნახვა მსურველთ შეუძლიან ყოველდღე სასამართლოს კანცელარიაში.

—

15 თებერვალს ტფილისში გზათა მმართველობის კანცელარიაში დანიშნულია ვაჭრობა ორ საიჯარუროს გასაცემლად. ერთი უნდა გაეცეს ახალციხე-აბასთუმანის გზა ტკეცილზედ 2970 მანათად და 52 კაპ., მეორე აბასთუმანში—5232 მან. და 75 კაპ.

—

თიანეთის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 14 თებერვალს 1897 წელს გაიყიდება მამული სვიმონ ბოდავკისა, რომელიც იმყოფება სოფ. ახმეტაში. მამული აწერილია გასასყიდათ 200 მანათში.

—

სურამის სასამართლოს ბოქაული ნ. პანოვი აცხადებს, რომ 14 თებერვალს 1897 წელს, დილის 10 საათზედ, გაჭყიდის შემდეგ პირების მამულებს:

1) გნ. მარიამ ფალავანდიშვილისა, სახნავ-სათესი მიწები და ტყე.

2) თავ. მიხეილ დავითის ძე ციციშვილისა $^1/_{16}$ ნაწილი „საციციანო მთაში“ და 120,000 დესეტინა სახნავი მიწა.

3) აზ. ევანტია გიორგის სულის ორჯონიკიძისა, დედით საკნელი.

4) ეკატერინე ალექსის ასულის ჩეიძისა.

5) გლეხების გიგო და თედო გაბრიელის ძეთა ბოლოტაშვილებისა.

6) გლეხის გიგო გიორგის ძის ასპინძელაშვილისა.

დაწვრილებით პირობის შეტყობა შეიძლება სურამის ბოქაულთან.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი სწრაფის რეისით გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივისს გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-საპასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივის გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-საპასაჟირო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუაღამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

ეტლების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის.

ტფილისიდან

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათევს მლეთში, მეორე 8 ს. დილით გადიან, ღამეს ათევს ფასანაურში. მოდიან კავკავში, პირველი საღამოს 6 ს. და მეორე 8 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გადიან: ერთი დილის 9 ს. და 20 წუთს და მეორე საღამოს 7 საათზედა; ღამეს არსად არა დგებიან; მიდიან კავკავმეორე დღეს, პირველი 12 ს. შუადღეს და მეორე 8 ს. 50 წუთს საღამოს.

კავკავიდან.

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათევს მლეთში და მეორე დილის 9 საათზედ, ღამეს ათევს გუდაურში. მოდიან ტფილისს, პირველი საღამოს ს. და მეორე 7 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გამოდიან: პირველი დილის 10 საათზედ და მეორე საღამოს 7 საათზედ, ღამეს არსად არ ათევენ. მოდიან ტფილისს მეორე დღეს, პირველი დილის 11 საათზედ და მეორე საღამოს 8 საათზედ.

ფასი მიმოსვლისა

ერთი ადგილი შიგ ეტლში სახელმწიფო ხარჯიანათ—19 მ. 60 კ. ეტლის კაბრიოლეტში—13 მ. 20 კ. ხოლო კოფაზე 5 მ. 40 კ.

შენიშვნა. ეტლების და ომნიბუსების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის ისეა მოწყობილი, რომ როგორც ტფილისს, აგრეთვე კავკავს დროზედ უსწრობენ რკინის გზის მიმოსვლას ტფილისში თუ კავკავში.

პეტერბურგის ბირჟა

კურსები დ ფონდები.

პეტერბურგი, 28 იანვარი 1897 წ.

ვექსელ. კურსი 3 თვით:	
ლონდონისა 10 გირ. სტ—ში	93,95
ბერლინისა 100 მარკაში	45,92$^5/_8$
პარიზისა 100 ფრანკში	37,30
მდგომარეობა ვექ. კურსისა	მშვიდია
ხუთ-მანათიანი ოქრო	7,50
ტამოჟ. კუპ. (100 მ. მეტ.)	149
ბირჟის დისკონტი	5$^3/_4$—7%
4% სახელმწიფო რენტა	99
4% შინაგანი სესხი 1 სერიისა	98$^1/_2$
4$^1/_2$% „ „ 1893 წლ.	101$^1/_4$
4$^1/_2$% გირავ. ფურც. სათ.-აზნ. საად.-მამულო ბანკისა	101$^1/_8$
4% „ „	97$^5/_8$
4$^1/_2$% მოწმ.საკრ.საად.-მამ. ბ.	101$^1/_4$
5% მომგ. ბილ. პირველ შ. სესხ. 1864 წ.	281
5% მომგებ. ბილ. მეორე შ. სესხ, 1866 წ.	260$^1/_2$
5% მომგ. გირ. ფურ. სახელ. სათ.-აზნ. საად.-მამ. ბანკ.	211
„ ოქროს რენტა 1884 წ.	—
$^1/_2$% გირ. ფურ. ურთ. შორის 5 საად.-მამ. საკრ. საზოგად.	156$^1/_2$
4% სახელ. რკინ. გზ. რენტა	—
$^1/_2$% კონსოლ. რკ. გზ. ოქრ. 1890 წლ.	101$^1/_2$
4 „ „ 2 გამ. 1892 წლ.	101$^1/_4$
4% ობლ. კონ. რკ. გზ. ოქ.	152
4$^1/_2$% ობლიგ. კიევი-ვორონეჟ. რკინის გზ.	101$^1/_4$
„ ობლ. რიაზ.-ურალ. რკ. გზ.	101$^1/_4$
4 „ ობლ. სამხრ.-აღმოს. რკ. გზ.	101$^1/_4$
% ობ. მოსკ.-კოზლ. რკ. გზ.	97
4$^1/_2$% სესხი ქ. პეტერბურგ.	99$^3/_4$
4$^1/_2$% „ „ ქ. ოდესისა	96
5% ობლ. პეტერ. საკრ. საზ.	101$^3/_4$
4$^1/_2$% „ „ „ „	98$^3/_8$
5% . . . . მოსკოვისა	101
5$^1/_2$% ობ. ოდეს. საკრ. საზ.	100$^1/_4$
5% „ „	94$^5/_8$
5% ტფილისის	98$^3/_4$
5$^1/_2$% გირავნ. ფურც. ხერს.	101$^1/_4$
5% საად. მამულო ბანკისა	100$^5/_8$
4$^1/_2$% „ „ „ „	95
5% „ „ ბესარ.-ტავრ. საად.-მამულო ბანკ.	100$^5/_8$
4$^1/_2$% „ „	95$^1/_8$
5% ვილენის	100$^1/_8$
„ დონისა	100$^5/_8$
4$^1/_2$% დონისა	94$^3/_4$
5% კიევისა	101$^1/_4$
4$^1/_2$% „ „	96
5% მოსკოვისა	101$^1/_4$
„ ნიჟ-სამარისა	101$^1/_4$
„ პოლტავისა	100$^1/_2$
4$^1/_2$% „ „	95$^3/_8$
5% ტულისა	101$^1/_2$
„ ხარკოვისა	101$^1/_2$
4$^1/_2$% „	95$^1/_2$
6% ტფილ. საად.-მამ. ბანკ.	102
5% „ „ „	99$^1/_4$
6% ქუთაის. საად.-მამ. ბანკ.	102$^1/_4$
5% „ „ „ „	99$^1/_8$
აქციები პეტერ. კერძო კომ. ბ.	514
„ პეტ. უჩოტ. და სესხ.	713
„ პეტ. ერთა-შორისებრივ.	623
„ რუსეთის შინაგ. ვაჭ.	438
„ ვოლგა-კამას კომერ.	1250
„ პეტერბ.-მოსკოვის კომ.	395
„ პეტ.-აზოვის კომ.	380
„ რუს. სავაჭ.-სამრ. ბან.	345
„ აზოვი-დონის კომ. ბან.	610
„ ვარშავ. კომერ.	482$^1/_2$
„ მოსკოვ. საერთაშ. ბან.	450
„ ციმბირისა	683

„ ბეს.-ტავრ. საად.-მამ. ბ. . 639
„ ვილენისა 590
„ დონისა 700
„ კიევისა 800
„ მოსკოვისა 740
„ ნიჟეგოროდ. და სამარის . 690
„ პოლტავისა 625
„ პეტერ.-ტულ. საად.-მ.ბ. . 399
„ ხარკოვის საად. მ. ბან. , 365
„ პეტერბ. განათ. საზოგ. . 125
პაიები ძმ. ნობელის სანავთო საზოგად. 8250
აქციები „ „ „ . 415
„ პუტილ. ქარხნის საზოგ. . 125
„ ბრიანის რელს. მწარმ. მეტ. ქარხ. 490
აქციები ქარხ. საზ. „სორმ.“ . 202
„ რუს. და ბელგ. მეტალ. . 252
„ მალცევის ქარხნებისა . . 595
„ რუს. ოქრ. საზოგად. . 273
„ რუს. დამზ. საზ. 1827 წ. . 1540
„ ,, ,, ,, 1835 წ. . 340
„ დამზ.საზ. „სალამანდრა“ . 500
„ პეტერ. დამზღ. საზოგ. . 325
„ მოსკოვ. დამზღვ. საზოგ. . 825
„ დამზღ. საზ. „როსსია“ . 85
„ საზ. ,,რუსს. ლლოიდ“ . 100
„ რუს. საზოგ. საქონლის დაზღვ. და გაგზავნ. . . . 130
„ დამზღვევი საზოგად. კ. ,,ნადეჟდა'' 250
„ რუს. საზოგ. სანავოსნო და სავაჭრო 600
„ საზ. „კავკაზ დ მერკურ“ . 390
„ ნავოსნ. დნეპრზე 95
„ მოსკ.-ყაზანის რკ. გზ. . . 490
„ კიევი-ვორონეჟ. 45
„ რიბინსკისა 67
„ სამხრეთ-ალმ. რკინ. გზ. . 179
მდგომარეობა ფონდის ბაზრისა—მკვიდრია.

ნ ი ხ რ ი

იანვრის 28 დამ 1897 წ. ვიდრე შეიცვლებოდეს

ძროხის ხორცი 1 ხარისხისა უძვლოდ 1 გირვანქა . . 8 კაპ.
სუკი 1 გირვანქა . . . . . 12 „
ცხვრის ხორცი უძვლოდ 1 გირვანქა . . . . 8 „

განცხადებანი

კბილის ექიმი
მ. ი. პიპინაძე

ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21, „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

გამოვიდა და ისყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში
ახალი წიგნი
ბაქტრიონი
ისტორიული პოემა
ვაჟა-ფშაველასი.
(ავტორის სურათით, ბიოგრაფიით და ნახატებით).
შეიცავს 88 გვერ. (XVI+72)
ფასი ერთი აბაზი,
უმთავრესი საწყობი გამომცემლების მაღაზიაში.
ფოსტის ადრესი: Георгіевская, № 14. Книжная торговля т-ва I. Имедашвили и С. Челидзе.
(5—4)

მასწავლებელი
მიხეილ ნასიძე
ამზადებს მოწაფეებს ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტში შესასვლელად. მოწაფეს უნდა ჰქონდეს დასრულებული სამოქალაქო სასწავლებელი.
ადრესი: ქ. ტფილისი, მიხეილის ქუჩა, სახლი ანდერსონისა, № 149.

XXVIII г. открыта подписка на ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ **1897 г.**

„НИВА“

выходящій еженедѣльно, со многими безплатными приложеніями.
Гг. подписчики „НИВЫ“ получатъ въ теченіе 1897 года:

52 №№ художественно-литературнаго журнала «Нива», заключающаго въ себѣ въ теченіе года около 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ и рисунковъ.

12 ТОМОВЪ собранія романовъ, повѣстей и разсказовъ
П. Д. БОБОРЫКИНА,
избранныхъ авторомъ и „Нивою“ изъ числа лучшихъ его произведеній и представляющихъ все наиболѣе выдающееся и цѣнное, что было написано П. Д. Боборыкинымъ въ послѣдніе 25 лѣтъ, начиная съ появленія его извѣстнаго романа „Китай-городъ“.

Собраніе романовъ, повѣстей и разсказовъ П. Д. Боборыкина будетъ отпечатано на хорошей глазированной бумагѣ, въ 12 томахъ, которые, подъ заглавіемъ „Сборникъ Нивы“, будутъ выходить въ началѣ каждаго мѣсяца и заключать въ себѣ:

Томъ I. „Китай-городъ“. Романъ въ 5-ти книгахъ. Томъ II. „Безъ мужей“. Повѣсть. „Псарня“. Разсказъ. „Умереть—уснуть“. Разсказъ. „Пристроился“. Повѣсть. „Безвѣстная“. Разсказъ. Томъ III. „По чужимъ людямъ“. Разсказъ. „За красненькую“. Разсказъ. „Послѣдняя депеша“. Разсказъ. „Три афиши“. Разсказъ. „Голуболифъ“. Разсказъ. „У плиты“. Разсказъ. „Изъ новыхъ“. Романъ въ 3-хъ частяхъ. Часть I. Томъ IV. „Изъ новыхъ“. Романъ въ 3-хъ частяхъ. Части II и III. Томъ V. „На ущербѣ“. Романъ въ трехъ частяхъ. Томъ VI. „Обречена“. Повѣсть. „Проѣздомъ“. Повѣсть. «Вторая отъ воды». Разсказъ. „Въ отъѣздѣ“. Разсказъ. Томъ VII. „Перевалъ“. Романъ въ 3-хъ част. Части I и II. Томъ VIII. „Перевалъ“. Романъ въ 3-хъ част. Часть III. „Съ убійцей“. Повѣсть. „Горленки“. Разсказъ. Томъ IX. „Ходокъ“. Романъ въ 3-хъ частяхъ. Томъ X. „Поумнѣлъ“. Повѣсть. „Измѣнникъ“. Повѣсть. „Морэ и Юэъ“. Разсказъ. Томъ XI. „Ранніе выводки“. Повѣсть. „Трупъ“. Разсказъ. „Василій Теркинъ“. Романъ въ 3-хъ част. Часть I. Томъ XII. „Василій Теркинъ“. Романъ въ 3-хъ част. Части II и III.

При первомъ томѣ будетъ приложенъ гравированный на стали Ф. А. Брокгаузомъ въ Лейпцигѣ портретъ съ автографомъ П. Д. Боборыкина.

12 КНИГЪ „Ежемѣсячныхъ литературныхъ приложеній“, которые будутъ выходить при „Нивѣ“ въ серединѣ каждаго мѣсяца и содержать въ себѣ романы, повѣсти, разсказы и проч. современныхъ авторовъ.

12 №№ „парижскихъ модъ“, выходящихъ ежемѣсячно и содержащихъ до 300 модныхъ гравюръ.

12 ЛИСТОВЪ рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ (около 300) и до 300 чертежей выкроекъ въ натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно.

„стѣнной календарь“ на 1897 г., печатанный красками.

Подписная цѣна на годовое изданіе „Нивы“ со всѣми вышеозначенными приложеніями: безъ доставки въ СПБ. 5 р. Съ доставкою въ СПБ. 6 р. 50 к. Безъ доставки въ Москвѣ (въ конт. Н. Н. Печковской) 6 р. Съ пересылкою во всѣ города и мѣстности Россіи 7 р. За-границу 10 р.

Требованія просятъ адресовать въ С.-Петербургъ, въ главную контору журнала „Нива“ (А. Ф. Марксу), Малая Морская, д. № 22.
6—4

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 Г. НА ЖУРНАЛЪ

XVII годъ. **ОСКОЛКИ** годъ. XVII

ПОДЪ РЕДАКЦІЕЙ И ПРИ ПОСТОЯННОМЪ УЧАСТІИ
Н. А. ЛЕЙКИНА.

Еженедѣльный (52 нумера въ годъ) иллюстрированный юмористическій журналъ „Осколки“ съ каррикатурами, вступая въ семнадцатый годъ своего существованія будетъ издаваться въ 1897 году подъ той же редакціей и по той же программѣ, какъ и въ 1896 году.

Журналъ „Осколки“ издается въ форматѣ большихъ иллюстрацій. Редакція старается, по мѣрѣ силъ и возможности, откликаться въ легкой и живой формѣ: каррикатурами, юмористическими стихами, фельетонными очерками, сценками, шаржами и пародіями, на всѣ явленія текущей жизни, какъ столичной, такъ и провинціальной. Рисунки печатаются частью черными, частью въ краскахъ. Въ 1897 году редакція обратитъ вниманіе на всестороннее улучшеніе журнала.

ЦѢНА ЗА ЖУРНАЛЪ:

съ доставкой и пересылкой:		безъ достаки и пересылки:	
На годъ	9 руб.		
На полгода	5 „	На годъ	8 р. —
На три мѣсяца	3 „		
За границу на годъ	10 „	На полгода	4 „ 50
„ „ полгода	6 „	Натри мѣсяца	2 „ 50

Допускается разсрочка подписной платы черезъ господъ Казначеевъ или по личному соглашенію подписчика съ Главной Конторой журнала „Осколки“.
Подписка принимается: въ Главной конторѣ журнала „Осколки“ въ С.-Петербургѣ (Спасская улица, д. № 17).
Редакторъ-Издатели: Н. Лейкинъ и Р. Голике.
(10—4).

ახალი სასტუმრო
არარატი
დაბა დილიჟანში.
კარგად მორთული ნომრები და საუკეთესო ბუფეტი.
ყარსში მიმავალი მგზავრები და ახალ რკინის გზის იჯარადრები უკეთესს ადგილს ვერ იპოვნიან დილიჟანში ღამის გასათევად.
ფასები ძლიერ იაფია
სასტუმროს პატრონი ბესარიონ ი. შაფაქიძე.
Новая гостиница „АРАРАТЪ“, въ уроч. Делижанъ.
Цѣны умѣренныя.
Содержатель В. И. Шапакидзе.
(15—5)

ქარხანა მანქანების და თუჯის ჩამოსასხმელი
ინჟენერების
იარალოვისა და ალიხანოვისა
ტფილისში.
მუდამ ჟამს ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას.

НАСОСЫ
центробѣжные, Летестю
и др. рекомендуетъ
Машино-строительный, чугунно-литейный и котельный заводъ
инженеровъ
ЯРАЛОВА и АЛИХАНОВА
въ Тифлисѣ.
(100—5)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на
С.-ПЕТЕРБУРГСКІЯ ВѢДОМОСТИ
въ 1897 г.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Безъ казенныхъ прибавленій

	на годъ.	6 мѣс.	3 мѣс.	1 мѣс. к.
Съ достав. по гор. почтѣ	16 р. —	9 р. —	4 р. 50 к.	1 р. 80 „
Съ пересылкою иногор.	17 „ —	10 „ —	5 „ 50 „	2 „ — „
За границу . . .	26 „ —	14 „ —	8 „ — „	3 „ — „

Съ казенными приб.

	на годъ	6 мѣс.
— — —	18 р. —	10 р. —
— — —	19 „ —	11 „ —
— — —	28 „ —	16 „ —

Подписка на газету съ казенными прибавленіями принимается только на годовой и полугодовой срокъ. Въ розничную продажу казенныя прибавленія не поступаютъ.

Подписка принимается: въ Петербургѣ, въ главной конторѣ „С.-Петербургскихъ Вѣдомостей“, Шпалерная, 26, и въ книжномъ магазинѣ Мелье (Невскій пр., № 20); въ Москвѣ, въ конторѣ Н. Печковской, Петровскія линіи, № 61.

Иногородные адресуютъ: С.-Петербургъ, Шпалерная, 26.
Редакторъ-издатель Князь Э. Э. Ухтомскій.
(10—8)

ОТКРЫТА ПОДПИКА
годъ XXXI. на **1897 г.** годъ XXXI.

САМЫЙ ДЕШЕВЫЙ ЖУРНАЛЪ
политическій, литературно-художественный и сатирическій съ каррикатурами
РАЗВЛЕЧЕНІЕ

Рекомендуется любителямъ веселаго и остроумнаго, доступенъ всякому возрасту, полу, званію и состоянію. Журналъ существуетъ давно, извѣстенъ всякому, а потому распространяться о немъ нечего.
Въ 1897 году каждый подписчикъ **РАЗВЛЕЧЕНІЯ** непремѣнно получитъ

200,000 РУБЛЕЙ

(если, разумѣется, онъ имѣетъ билетъ какого-либо внутренняго съ выигрышами займа и на него въ тиражъ падетъ этотъ выигрышъ).
Годовая цѣна журнала безъ всякихъ премій и приложеній, но зато съ оберткой, упаковкой, переноской, перевозкой и пересылкой всего только **6** рублей, за полгода **3** рубля.
(Пробный № высылается за три семикопеечныя марки.)
Адресъ: Москва, журналу Развлеченіе.
(10—5).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29-го Января 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21 რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.